სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის რეკომენდაციები

სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის რეკომენდაციები

სამოქალაქო განათლების
პროვაიდერებისთვის
და ექსპერტებისთვის

რეკომენდაციები შეიქმნა პროექტის „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა ომისა და პოლიტიკური კრიზისის დროს“ ფარგლებში, რომელიც შეიმუშავა და ახორციელებს აღმოსავლეთ ევროპის სამოქალაქო განათლების ასოციაციის ექსპერტთა კონსორციუმი სამოქალაქო განათლების ფედერალური სააგენტოს (bpb) მხარდაჭერით და გერმანიის ფედერალური საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით.

1. ინსტიტუციური დონე

ზოგადი საკითხები

- ☐ სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის თემატიკის ჩართვა ორგანიზაციის ღირებულების სისტემაში.
- ☐ სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის თემატიკის გამჭოლად ინტეგრირება არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში.
- ☐ სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის ძალისხმევის კონსოლიდაცია სხვა ინსტიტუციებთან.
- ☐ სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში დაინტერესებული მხარეების საექსპერტო და საკონსულტაციო მხარდაჭერა.
- ☐ სამოქალაქო განათლების პროვაიდერების სახელით ისეთი კანონმდებლობის შემუშავებისა და მიღების ლობირება, რომელიც ხელს შეუწყობს სიძულვილის ენასთან ბრძოლას.

დოკუმენტაციის შემუშავება და მისი გაცნობა თანამშრომლებისთვის, პარტნიორებისა და სამიზნე ჯგუფებისთვის

- ☐ ორგანიზაციის ეთიკის კოდექსის შემუშავება (ექსპერტების და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით).
- ☐ ქცევის წესების განსაზღვრა ღონისძიების მონაწილეებისთვის (მომხმარებელთა შეთანხმება - ონლაინ ღონისძიებებისთვის).
- ☐ სამახსოვროს მომზადება ექსპერტებისთვის - როგორ მოახდინონ ღონისძიებების დროს რეგირება სიძულვილის ენის გამოვლინებაზე.
- ☐ ისტორიული და თანამედროვე მოვლენების კალენდრის შედგენა, რომლებსაც კავშირი აქვთ სიძულვილის ენასთან, საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვისას გასათვალისწინებლად.
- ☐ ორგანიზაციის სოციალურ ქსელებში სიძულვილის ენაზე რეაგირების ალგორითმის შემუშავება.

1. ინსტიტუციური დონე

სასწავლო-მეთოდური და საინფორმაციო მასალები

- [ ] მასალების შემოწმება რომ არ შეიცავდეს სიძულვილის ენას.
- [ ] დარწმუნება იმაში, რომ მასალები მიმართულია სიძულვილის ენის პრევენციისა და წინააღმდეგობისკენ და მოიცავს:
  - სიძულვილის ენის მარკერებს;
  - სიძულვილის ენაზე რეაგირების მეთოდებს;
  - პოზიტიური კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის პრაქტიკას;
  - პედაგოგებითვის სწავლებას სად გადის ზღვარი სიძულვილის ენასა და ბულინგს შორის;
  - რეკომენდაციები მშობლებისთვის ბავშვებს შორის და ოჯახში სიძულვილის ენის წინააღმდეგ;
  - სიძულვილის ენის კონტექსტში მედიაწიგნიერების განვითარება.



ორგანიზატორების, ექსპერტების და ტრენერების გუნდების სწავლება

- [ ] მომზადდნენ გუნდები დიალოგის წარმართვისთვის და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის, შუამავლობისა და აქტიური მოსმენის უნარების ჩათვლით.
- [ ] კულტურული კომპეტენციების განვითარება კულტურათაშორისი განსხვავებების გასაგებად და კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად.
- [ ] სპეციალური სესიების ჩატარება სიძულვილის ენის კონტექსტში ბულინგისა და კიბერბულინგის პროფილაქტიკისა და მათზე რეაგირებისთვის.
- [ ] ტრენინგების ორგანიზება დიალოგური სივრცეების შექმნაში რთული თემების განსახილველად სიძულვილის ენის გამოყენების გარეშე.

2. საგანმანათლებლო პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვა

მონაწილეთა შერჩევა და გადარჩევა

- ☐ მონაწილეებისთვის ორგანიზაციის სიძულვილის ენასთან დაკავშირებული წესების, სიძულვილის ენის მკაფიო განსაზღვრებისა და მასზე რეაგირების პროცედურების (მაგ. „ნულოვანი ტოლერანტობა“) გაცნობა ღონისძიების ანონსირების ეტაპზე.
- ☐ მონაწილეთა განაცხადების და სოციალური ქსელების ანალიზი სიძულვილის ენასთან დაკავშირებით.
- ☐ ღონისძიებათა ორგანიზების რისკების შეფასება და მათზე რეაგირების შესაძლებლობების შემუშავება.
- ☐ შერჩეულ მონაწილეთა ინფორმირება წესებისა და პროცედურების შესახებ.

თანამშრომლობა ექსპერტებთან და ტრენერებთან

- ☐ დარწმუნდით, რომ ექსპერტები და ტრენერები იზიარებენ ღირებულებებს და იცავენ პრინციპს "იყავი რასაც ასწავლი".
- ☐ შეამოწმეთ, რომ ექსპერტებს აქვთ კომპეტენციები სიძულვილის ენის გამოვლინებებზე ადეკვატურად რეაგირებისთვის.
- ☐ დაადასტურეთ, რომ ექსპერტების მიერ გამოყენებული მეთოდები მიზნად ისახავს დიალოგის, თანამშრომლობისა და მშვიდობის კულტურის სწავლებას.
- ☐ წაახალისეთ ექსპერტები სიძულვილის ენის შესახებ თემატური არხებისა და პუბლიკაციების მონიტორინგზე.
- ☐ ექსპერტებთან ერთად გაანალიზეთ ადგილობრივი კონტექსტი არსებული საფრთხეების გამოსავლენად.
- ☐ შეუთანხმდით თარჯიმნებს, ტრენერებისა და ექსპერტთა გუნდებს კორექტული ტერმინოლოგიის გამოყენებაზე.

სასწავლო მასალის მომზადება

- ☐ შეამოწმეთ სასწავლო მასალები სიძულვილის ენის არარსებობაზე.
- ☐ დარწმუნდით, რომ მასალები ხელს უწყობს სიძულვილის ენის პრევენციას.
- ☐ უზრუნველყავით, რომ მასალები ორიენტირებული იყოს მედიაწიგნიერების განვითარებაზე და სიძულვილის ენის შემცველი ინფორმაციის კრიტიკულად აღქმაზე.

3. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და ღონისძიებების ჩატარება

ღონისძიების დაწყების ეტაპზე

- [ ] გასაგები მაგალითების გამოყენებით აუხსენით თუ რა არის სიძულვილის ენა და როგორ დავუპირისპირდეთ მას.
- [ ] გააცანით ქცევის წესები და პასუხისმგებლობის ზომები მათ დარღვევაზე, მიიღეთ უკუკავშირი მონაწილეებისგან.
- [ ] ყურადღება მიაქციეთ სიტუაციებს, სადაც ვლინდება სიძულვილის ენა და გამოიყენეთ პასუხისმგებლობის შეთანხმებული ზომები (გაფრთხილება, ღონისძიებიდან დათხოვნა და სხვა).
- [ ] ონლაინ ღონისძიებების შემთხვევაში, გადაამოწმეთ მონაწილეები, უზრუნველყავით მოდერაცია და დამატებითი ზომები (მაგ. ხმის გამორთვა).

ღონისძიების დროს

- [ ] გააცანით მონაწილეებს ყოველდღიურ ცხოვრებაში სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის ტექნიკა და ინსტრუმენტები.
- [ ] დაიცავით ადამიანური ღირსების ღირებულება და შეეწინააღმდეგეთ სოციალური ჯგუფების დეჰუმანიზაციას.
- [ ] გამოიყენეთ მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობენ დიალოგს და კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, მათ შორის:
  - სიმულაციური თამაშები სიძულვილის ენაზე რეაგირების სასწავლებლად;
  - ქეისებზე მუშაობა, მეთოდები „ფორუმ-თეატრი“, „ცოცხალი ბიბლიოთეკა“ და სხვა;
  - სამაგიდო თამაშები სიძულვილის ენასთან დაკავშირებული პრობლემური სიტუაციების ამოცანებით;
  - ფილმების ყურება და განხილვა.
- [ ] მონაწილეებისა და ექსპერტების მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა (ფსიქოლოგის, შუამავლის და ა.შ. ხელმისაწვდომობა).

4. საგანმანათლებლო პროგრამებისა და ღონისძიების შეფასება

სასწავლო-მეთოდური და საინფორმაციო მასალები

- ☐ შეაგროვეთ და გააანალიზეთ უკუკავშირი, იმუშავეთ ნეგატიურ უკუკავშირებზე და საჩივრებზე სიძულვილის ენის შემთხვევებთან დაკავშირებით.
- ☐ საჯაროდ უპასუხეთ სიძულვილის ენის შემთხვევებს, თუ ისინი საჯაროდ გავრცელდა (გამოაქვეყნეთ ოფიციალური პოზიცია, მემორანდუმი და ა.შ.).
- ☐ გამოიტანეთ დასკვნები სიტუაციებიდან, როდესაც სიძულვილის ენამ „შემოაღწია“ ღონისძიებაში.
- ☐ მოახდინეთ სიძულვილის ენის შემთხვევების დოკუმენტირება და კლასიფიკაცია პოლიტიკის შესაძლო კორექტირებისთვის.
- ☐ მხარი დაუჭირეთ პროგრამის კურსდამთავრებულთა ინიციატივებს, რომლებიც მზად არიან პროაქტიულად უპასუხონ სიძულვილის ენას თავიანთ საქმიანობაში.
- ☐ შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამების გრძელვადიანი გავლენა საზოგადოებაში მონაწილეთა ქცევის, დამოკიდებულებებისა და სიძულვილის ენის აღქმის ცვლილებების ანალიზით.